

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №**

2021 წლის „ აპრილი, ქალაქი ბათუმი

**ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო
საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი
განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის
განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიიჩნევს, იმ მეწარმე ფიზიკური/იურიდიული თუ სხვა პირების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც საზოგადოებრივ სივრცეს იყენებს გარე ვაჭრობის დანიშნულებით, ასევე რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე საზოგადოებრივ სივრცეს მაგიდის და სხვა ნივთის (მათ შორის I კლასის ობიექტის) განთავსებისათვის, რომელზეც მომსახურების გაწევას ახდენს არსებული რესტორნიდან, კაფე-ბარიდან და სხვა ობიექტიდან, საზოგადოებრივი სივრცეების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემისას უნდა დაწესდეს გაცემის შეღავათიანი საფასური.

აღნიშნულის განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საზოგადოებრივი სივრცის გარე ვაჭრობისათვის, ასევე რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე სივრცის მაგიდის და სხვა ნივთის (მათ შორის I კლასის ობიექტის) განლაგებისათვის, რომელზეც მომსახურების გაწევა ხდება არსებული რესტორნიდან, კაფე-ბარიდან და სხვა ობიექტიდან, საზოგადოებრივი სივრცე(ები) პირდაპირი განკარგვის წესით გასცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, არაუმეტეს 2021 წლის 31 დეკემბრის ვადით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესითა და სხვა მოქმედი აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა დაადგინოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის შეღავათიანი საფასური, დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულების შესრულების მიზნით გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

4. განკარგულება ძალაშია 2021 წლის 1 მაისიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

**საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით
გაცემის შეღავათიანი საფასური**

№	საზოგადოებრივი სივრცის გამოყენება გარე ვაჭრობისათვის, სახეობების მიხედვით	დაკავებული ტერიტორია	თვიური საფასური
1	ხილ-ბოსტნეული, ბაღჩეული, განთავსებული ვერტიკალურ სტელაჟზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის	1 კვ.მ	5 ლარი
2	მაცივარი (სანაყინე, გამაგრილებელი) სავაჭრო ობიექტის წინ	1 კვ.მ	5 ლარი
3	რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე საზოგადოებრივ სივრცეში მომსახურების გაწევისათვის (მაგიდები, სკამები, საჩრდილობელი ქოლგები და ა.შ.)	1 კვ.მ	3 ლარი
4	რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე საზოგადოებრივ სივრცეში მომსახურების გაწევისათვის (I კლასის ობიექტის)	1 კვ.მ	10 ლარი
5	ჯიხური	1 კვ.მ	10 ლარი
6	მომრავი (ბისამბელი, ავტოკაფე, ველოსიპედები) ასევე, მომრავი სპეც დანიშნულების მომსახურება (ბურახი, ლუდი)	1 კვ.მ	10 ლარი
7	ყველა სახის გადახდის აპარატი (გასართობი ავტომატები, ატრაქციონები, სწრაფი ჩარიცხვის აპარატები, არასარეკლამო ტიპის ტერმინალები)	1 ცალი (1 აპარატის ზომა არაუმეტეს 1 კვ.მ)	10 ლარი

განმარტებითი ბარათი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებს იურიდიული/ფიზიკური (მაღაზიები, რესტორნები და სხვა) პირები სარგებლობენ გარე ვაჭრობის დანიშნულებით და სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევის მიზნით, მითუმეტეს კოვიდ პანდემიის დროს აქტუალური გახდა ღია სივრცეები და ტერიტორიები.

შექმნილი კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყანა შესაძლებელია უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის წინაშე დადგეს, მათ შორის ბათუმში დაიხურა ბევრი სავაჭრო სარეალიზაციო ობიექტი, სარესტორნო ბიზნესი, ხოლო ვინც შეძლო და გაართვა ამ რთულ ეპიდ სიტუაციას თავი აგრძელებენ საქმიანობას, მკაცრი კოვიდ რეგულაციების და შეზღუდვების დაცვით.

ა.ა) პროექტის მიზანი და მიზანი

პროექტის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (covid 19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლების (გარე ვაჭრობისათვის გამოყენებით) პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის შედგენა, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შექმნილ პანდემიურ მდგომარეობას, ითვალისწინებს რა მეწარმეთა (კანონიერ ინტერესს) ასევე ადგილობრივი ბიუჯეტისათვის დამატებითი შემოსავლების არსებობას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელები პირებისათვის არსებული კრიზისული სიტუაციის შემსუბუქება.

ბ) პროექტის ფინანსური მხარე

ადგილობრივი ბიუჯეტში, მოხდება დამატებითი შემოსავლების მობილიზება.

გ) პროექტის შესაბამისობა იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის ავტორი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ვ) პროექტის ინიციატორი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი

დავით კოპინაძე